# დისტანციური სწავლება, გამოწვევები და პერსპექტივები



თბილისის თავისუფალი აკადემია
ჟურნალი „მომავლის ლიდერი“
N2 (N12) მარტი - აპრილი 2021 წელი

## მთავარი რედაქტორი

**სალომე პირველი**
თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი,
სამართლის მეცნიერებათა დოქტორი

## სარედაქციო საბჭო

**მარინე კობალავა**
თბილისის თავისუფალი აკადემიის ვიცე რექტორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**მარიამ სიხარულიძე**
თბილისის თავისუფალი აკადემიის
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი

**ნინო ჩაჩხიანი**
თბილისის თავისუფალი აკადემიის
ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის ხელმძღვანელი

## გრაფიკული დიზაინერი

**სოფიკო ალფაიძე**

პროექტი ხორციელდება თბილისის თავისუფალი
აკადემიის „ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის“ მიერ

ISSN 2667-923X

© თბილისის თავისუფალი აკადემია
გამომცემლობა, თბილისი 2021

# COVID - 19 და განათლების სისტემა

კოვიდ 19-ის მიერ გამოწვეულმა პანდემიამ აუცილებელი წინაპირობა შექმნა, რომ ნებისმიერი სასწავლო დაწესებულება ონლაინ, დისტანციური სწავლების მეთოდზე გადასულიყო, რასაც გამოწვევების გარეშე არ ჩაუვლია.

საქართველომ ამ ფორსმაჟორულ მდგომარეობაში მოახერხა მარტივად ადაპტირებულიყო ონლაინ სწავლების სისტემაზე, თუმცა ცხადია ძალიან ბევრი წინააღმდეგობა თუ სირთულე ახლდა ამ პროცესს.

21-ე საუკუნე ტექნოლოგიების ეპოქაა. ეპოქა, რომელშიც ადამიანები მუდმივ განვითარებასა და პროგრესს განიცდიან. ისინი ფიქრობენ, ქმნიან, ნერგავენ სიახლეებს და ცდილობენ შემოიღონ ახალი სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარებათ მათ მოერგონ 21-ე საუკუნის ქაოსურ რითმს. ამის შედეგია სწორედ ის, რომ ტექნოლოგიებმა ადამიანის ყველა სფეროში შეაღწია და ფაქტობრივად ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

სუპერმოდერნიზებულ სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, როგორ შეძლებდა ადამიანი ტექნიკის გარეშე არსებობას, ურთიერთობას ინტრნეტ კომუნიკაციის გარეშე, თუმცა კოვიდ-19-მა ამ პრობლემაში კიდევ უფრო დაგვარწმუნა, რადგან მსოფლიოში არსებულმა პანდემიამ ტექნიკის მნიშვნელობა ადამიანებში კიდევ უფრო გაზარდა და მათი ცხოვრება მთლიანად ამ სერვისზე დამოკიდებული გახადა.



# დადებითი მხარეები:



- შეიქმნა სხვადასხვა ონლაინ სასწავლო პლატფორმები: ONLINE საკლასო ოთახები, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ტელესკოლა, აბიტურიენტებისათვის ვებ-სკოლა, i-სკოლა და სხვა;
- საქართველოში დაინერგა ონლაინ სწავლების პრაქტიკა და ქვეყანაც მეტად მოქნილი გახდა ამ საკითხში;
- ადამიანებს დისტანციურმა სწავლებამ საშუალება მისცა სამსახურეობრივი საქმიანობა და სწავლა ერთმანეთთან შეეთავსებინა;
- შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი და დამოკიდებულება დისტანციური სწავლების მიმართ.



საგანმანათლებლო სივრცეებისათვის შეიქმნა ონლაინ პლატფორმები, რომლებმაც ძალიან დიდი როლი ითამაშა საზოგადოება მარტივად ადაპტირებულიყო არსებულ რეალობასთან. დისტანციური სწავლება ძალიან კარგი გამოცდილება აღმოჩნდა მსოფლიოსათვის. დროსთან ერთად შეიცვალა საზოგადოების აზრი განათლების ამ ფორმასთან დაკავშირებით. ადამიანები ნაბიჯ-ნაბიჯ ხედავდნენ დადებით დინამიკას ონლაინ სწავლებაში. საბოლოოდ პროცესმა პოზიტიური როლი ითამაშა არსებულ რეალობაში, საჭირო შეერწყა სასიამოვნოს და არსებულმა მოქნილმა სისტემამ ცხადყო, რომ პანდემიის დასრულების შემდგომ ადამიანების უმეტესი ნაწილი არჩევანს ისევ ონლაინ სწავლებაზე შეაჩერებს. გამოწვევები ამ სივრცეში იქცა შესაძლებლობად განათლების სივრცეში მყოფი პირებისათვის.

# უარყოფითი მხარეები:




მატერიალურ ტექნიკური რესურსების სიმწირე, რომელიც აუცილებელია დისტანციური სწავლებისას





ადამიანებს შორის კომუნიკაცია

ონლაინ პლატფორმების გამოყენების სირთულე



# უარყოფითი მხარეები:

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში დისტანციური სწავლების პრაქტიკა არასდროს ყოფილა დანერგილი, ადაპტაციის პროცესში ძალიან დიდი დისკომფორტი შეიქმნა. პირველ რიგში, ადამიანებს გაუჭირდათ პირდაპირი კომუნიკაციიდან, ირიბ, დისტანციურ ურთიერთობებზე გადასვლა. პირდაპირი კონტაქტის არქონა ძალიან რთულსა და უინტერესოს ხდის მასთან ინტერაქციას. აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვებსა თუ მასწავლებლებს, მითუმეტეს მაღალმთიან რაიონებში პრობლემა ექმნებოდათ საინფორმაციო რესურსებზე წვდომაზე.

# პერსპექტივები

დღევანდელი დღით თუ ვიმსჯელებთ, პანდემიური პროცესები სამომავლო პერსპექტივაში ძალიან კარგ შედეგს მოიტანს განათლების სისტემაში ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით. აგრეთვე სოფლებსა და მაღალმთიან რაიონებში ხალხს უფრო მეტად დაახლოვებს ინტერნეტთან და ამა თუ იმ თანამედროვე მოწყობილობებთან. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, განათლებაში ისეთი ინოვაციები ინერგება, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან უცხო და ამავდროულად წარმატების მომტანია. ასეთი სვლით კი ჩვენ ნამდვილად მოვახერხებთ შევუერთდეთ ისეთი ქვეყნების სიას, რომლებიც განათლების დონით ერთ-ერთი საუკეთესონი არიან.





ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა
YOUNG LEADERS SCHOOL

# XXI საუკუნის პიროვნული და სოციალური კომპეტენციების ფორმირების პლატფორმა

www.Freeacademy.edu.ge
info@freeacademy.edu.ge

თბილისის თავისუფალი აკადემია

სერია "მომავლის ლიდერი"

თბილისის თავისუფალი აკადემიის გამომცემლობა

0160, თბილისი, ჯურხა ნადირაძის 46

+995 322 369 160

+995 599 670 108